

პორელაციური რისკების პროცესების ანალიზის ანალიტიკური ავტომატიზებული მექანიზმების დაგუშავება

ეკატერინე თურქია, ნატო მოროზი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

წარმოდგენილია ორგანიზაციაში არსებული სხვადასხვა რისკის ტიპების ურთიერთკორელაციის აღრიცხვისა და მონიტორინგის პროცესების კვლევა. რისკის ძირითადი ტიპის მიხედვით აქცენტი კეთდება საოპერაციო რისკზე, რომლის კვლევის საფუძველზე ხდება სხვადასხვა დამოკიდებული რისკის ტიპების გამოვლენა. აღწერილია რისკების ანალიზის სისტემის ფუნქციონალური მოდელი, რომლის მიხედვითაც შემოთავაზებულია ურთიერთკორელაციური რისკების აღრიცხვისა და მონიტორინგის ავტომატიზაციის რეალიზებული მექანიზმები. ინციდენტებისა და ურთიერთკორელაციური რისკების აღრიცხვის შედეგი იძლევა რისკის მოხდენის პროგნოზირების მონაცემთა წყაროს, რომლის საფუძველზეც შესაძლებელია გამოვიყენოთ პროგნოზირების მეთოდები. ასეთი ტიპის ანალიზისთვის როგორც წესი, საოპერაციო რისკების გამოიყენება დანაკარგის მოდელირება მონტეკარლოს მეთოდით, პუსონის განაწილება, ემპირიული განაწილება, ვეიბულის განაწილება, გამმა განაწილება, ნეგატიური ბინომინალური განაწილება და ა.შ. ასეთი მიღობა ამცირებს მოულოდნელობის ეფექტს და უზრუნველყოფს გაურკვეველ პირობებში გადაწყვეტილების მიღების მაღალ ეფექტურობას.

საქვანძო სიტყვები: რისკების ურთიერთკორელაცია. საოპერაციო რისკი. რისკების ანალიზის სისტემა. დანაკარგის მოდელირება. ინციდენტების აღრიცხვა. პროგნოზირების მეთოდები.

1. შესავალი

საერთაშორისო სტანდარტების პრაქტიკული და თეორიული კვლევის მიხედვით, რისკის ტიპის მიხედვით გამოიყენებაშია კონტრეტული მიღებობები და მეთოდები. საოპერაციო რისკის ანალიზში, ძირითადი ინდიკატორია ორგანიზაციაში მომხდარი ინციდენტის აღრიცხვა, რომლის უკანაც დგანს ორგანიზაციული პროცესების სტრუქტურიზაცია და სისტემიზაცია ბიზნეს-ზაზების მიხედვით. ეს ნიშნავს, რომ კონტრეტული შემთხვევა მკაცრად შეესაბამება კონკრეტულ ბიზნეს-ზაზს და რისკის კონკრეტულ ტიპს.

ჩვენი დაკვირვებით არსებობს ინციდენტები, რომლებმაც შეიძლება ზეგავლენა მოახდინოს სხვადასხვა რისკის ტიპებზე. ამასთანავე, მისი გამომწვევი მიზეზი შეიძლება იყოს არა ერთი, არამედ სხვადასხვა რისკის ტიპი. მაშასადამე, მკაცრი შესაბამისობა კონკრეტულ ბიზნეს-პროცესთან ახდენს დაკავშირებული რისკის იდენტიფიკაციის დაფარვას.

ამ თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია რისკების კორელაციური პროცესების ანალიზი, რაც არა მხოლოდ ზეგავლენის ანალიზის ფორმატში აისახება, არამედ თავდაპირველი გამოვლენის წყაროდ შეიძლება დაფიქსირდეს. ასეთმა მიღობამ, დასაშვებია შეცვალოს როგორც ბიუჯეტის, ისე რეზერვებისა და კაპიტალის აღრიცხვის მიღები.

რისკების მინიმიზაციის მიზნით აუცილებელია ორგანიზაცია დეტალურად ახორცილებდეს მომხდარი რისკების გამომწვევი ფაქტორების ანალიზს, რისკის წინასწარ გამოვლენას, რისკის შეფასებას, მონიტორინგსა და მუდმივ კონტროლს.

შესაბამისად, მნიშვნელოვანია ისეთი ავტომატიზებული სისტემის დანერგვა, რომელიც უზრუნველყოფს დანაკარგებისა და მომხდარ დარღვევათა შემთხვევების დეტალური ინფორმაციის ინტეგრირებული მონაცემთა ბაზის წარმოებას და მონაცემების ანალიტიკურ დამუშავებას.

2. ძირითადი ნაწილი

საოპერაციო რისკის მართვისთვის აუცილებელია ხარისხიანი მონაცემთა ბაზა, ზოგადად რეკომენდებულია ველები, რომლებიც საჭიროა საოპერაციო რისკების მონაცემთა ბაზის შესაქმნელად: დანაკარგის ტიპი; დანაკარგის გამოვლენის თარიღი; დარღვევა/შეცდომა; შემთხვევის ადგილი; შემთხვევის დრო და სიხშირე; დანაკარგის მოცულობა; რისკის წარმოშობის მიზეზი; სხვადასხვა მაზრებს, ადგილებს და მოვლენებს შორის ურთიერთყველები; საოპერაციო რისკის კატეგორია; ინფორმაციის წყარო; ძირითადი მოვლენა, რომელმაც მიიყვანა კომპანია დანაკარგამდე; სისტემაში დაშვებულ რისკს შეუძლია თუ არა ადგილი ჰქონდეს აღნიშნულ კომპანიაში; რომელი საოპერაციო რისკები იწვევს მეტ დანაკარგს; დანაკარგი რა გავლენას ახდენს ბიზნესზე [1].

ფუნქციონალური თვალსაზრისით, რისკების ანალიზის სისტემა მოახდენს ინციდენტების აღრიცხვასა და ანალიზს თითოეული დეპარტამენტის/განყოფილების დონეზე. ინციდენტის აღრიცხვის პარამეტრებია - ინციდენტის შინაარსი, ზარალის თანხა და რაოდენობა. ხოლო, ინციდენტის ანალიზში იგულისხმება ინციდენტის გამოწვევი გარემო, მისი შეფასება ბიზნეს-კუთხით, რისკის ზეგავლენის ანალიზი და სხვა. კორელაციური რისკის არსებობის შემთხვევაში, რისკის გაზიარება ან გადამისამართება შესაბამის დეპარტამენტთან. ინფორმაციის მონიტორინგის აწარმოებს რისკების მართვის სამსახური (დასაშვებია ორგანიზაციის მასშტაბის მიხედვით სამსახური იყოს დეკომპოზიციური), რომელიც ახორციელებს სამ-დონიან რეპორტინგს:

1. მენეჯმენტის დონეზე, რაც უზრუნველყოფს მენეჯმენტის ინფორმირებას, რისკების ბიუჯეტის ფორმირებას და სხვა აუცილებელ, მნიშვნელოვან ღონისძიებებს.

2. შეგა რეპორტინგი, რომელიც იყოფა მატერიალურ და ბიზნეს ნაწილად. ბიზნეს ნაწილით ხდება რისკის მატარებელი ბიზნეს-პროცესის ანალიზი. შესაბამისად, განისაზღვრება რისკის მიტიგირების საშუალებები. მაგალითად, დამატებითი კონტროლების დანერგვა, დაზღვევის ფორმირება და სხვ. მატერიალური ნაწილი მოიცავს ფინანსური დანაკლისებისა და აღიარებული რისკების საფუძველზე რისკების სარეზერვო თანხის განსაზღვრას ანუ თანხობრივ მიტიგაციას. ასეთი ტიპის ანგარიშგების მიხედვით ხდება შემდომი ღონისძიებების მიზნებისა და სტრატეგიის დაგეგმვა რისკების შესამცირებლად.


ასევე, მონიტორინგი ემსახურება რისკების შემცირებისთვის დაგეგმილი სტრატეგიის დავალებათა შესრულების კონტროლს. რისკების ანალიზის სისტემის ფუნქციონალური მოღვლის ფრაგმენტი ასახულია 1-ელ ნახაზზე.

ინციდენტის აღრიცხვის სამომზმარებლო დიალოგური ფორმა შემოთავაზებულია მე-2 ნახაზზე. ინციდენტების მონიტორინგის შედეგად (ნახ.3) რისკის მატარებელი ბიზნეს-პროცესებისთვის დამატებითი კონტროლების და მართვის გაუმჯობესებისთვის, დავალებების გადანაწილებისა და შესრულების კონტროლის დიალოგური ფორმა ნაჩვენებია მე-4 ნახაზზე.

მე-5 ნახაზზე ასახულია ინციდენტების აღრიცხვის შედეგის დიალოგური ფორმის ფრაგმენტი. ეს მონაცემები წარმოადგენს ორგანიზაციაში რისკის პროგნოზირების წყაროს.

პროგნოზირების მეთოდები, რაც ძირითადად სტატისტიკური ანალიზისა და ფორმალიზაციის მეთოდებს ეყრდნობა, შესაძლებელს ხდის მოულოდნელობის ეფექტის შემცირებას და უზრუნველყოფს განუსაზღვრელობის პირობებში გადაწყვეტილების მიღების მაღალ ეფექტურობას.


ასეთი ტიპის ანალიზის მიზნით საოპერაციო რისკებში გამოიყენება დანაკარგების მოდელირება მოწყეტილობის მეთოდით, პუასონის განაწილება, ემპირიული განაწილება, ვეიბულის განაწილება, გამმა განაწილება, ნეგატიური ბინომინალური განაწილება და ა.შ. [2,3].



ნახ.1. რისკების ანალიზის სისტემის ფუნქციონალური მოდელის ფრაგმენტი

რაოდინიდება	საპრეზიდო
კალები	შიდა თაღლითობა
რაოდენობა	1 თანხა 10.000
საჭირო სიტყვა	თაღლითობა
აღმოჩენა	საპრეზიდო ვესპორტის მიმღები მონაცემები
მიზანი	კონტროლი
რისკის ზემოქმედება	საკვეთო რისკი
უძრავი დოკუმენტი	თანხმობის აღმარტინება
განახლება	

ნახ.2. ინციდენტის აღრიცხვის სამომხმარებლო დიალოგური ფორმის ფრაგმენტი



ნახ.3. ინციდენტების მონიტორინგის დიალოგური ფორმის ფრაგმენტი

Tasks

ବ୍ୟବସାୟକାରୀଙ୍କ ତାରିଖ	5/4/2015	5/4/2015	ବ୍ୟବସାୟକାରୀଙ୍କ ତାରିଖ	
ବ୍ୟବସାୟକାରୀଙ୍କ ନାମ			ବ୍ୟବସାୟକାରୀଙ୍କ ନାମ	
ବ୍ୟବସାୟକାରୀଙ୍କ ପରିମାଣ			ବ୍ୟବସାୟକାରୀଙ୍କ ପରିମାଣ	
ବ୍ୟବସାୟକାରୀଙ୍କ କାର୍ଯ୍ୟକ୍ଷେତ୍ର			ବ୍ୟବସାୟକାରୀଙ୍କ କାର୍ଯ୍ୟକ୍ଷେତ୍ର	
ବ୍ୟବସାୟକାରୀଙ୍କ ବିଷୟ			ବ୍ୟବସାୟକାରୀଙ୍କ ବିଷୟ	
ବ୍ୟବସାୟକାରୀଙ୍କ ବିବରଣୀ				
<input type="text"/> <input type="button" value="ବିବରଣୀ ଦିଇବା"/>				

ნახ.4. დაკალებების გადანაწილებისა და შესრულების კონტროლის დიალოგური ფორმა

	A	B	C	D	E	F	G
1	ନେଟ୍‌ଵିଲୁପ୍ତିକାରୀ	ତାରିଖ	ପ୍ରମାଣିତ ରିକ୍ସ ତାରିଖ			ଶେମଦିନରୂପ	ଶେମଦିନରୂପରେକ୍ଷନ ରୂପରେ
2	ସିସ୍ଟ୍ରୋମିଳ ପ୍ରମାଣିତାବଳୀ	42,510.25	ସାରଗ୍ରହିତର	42,310.25	200.00	ଫାର୍ମଲ୍ୟୁଡ୍ୟୁ	
3	ସିସ୍ଟ୍ରୋମିଳ ପ୍ରମାଣିତାବଳୀ	13,252.87	ସାରାଶରିଳ	8,252.87			
4	ଶିଳ୍ପ ତାଲିମିତାବଳୀ	1,424.12			1,424.12	ସାରାଶରିଳ	
5	ପ୍ରାର୍ଥ ତାଲିମିତାବଳୀ	299.76			299.76	ସାରାଶରିଳ	
6	ପରିଯାକ ପ୍ରମାଣିତରେକ୍ଷନ	10,813.94	ପ୍ରମାଣିତରେକ୍ଷନ	10,013.94			
7	ସିସ୍ଟ୍ରୋମିଳ ପ୍ରମାଣିତାବଳୀ	1,156.35			1,156.35		
8	ସିସ୍ଟ୍ରୋମିଳ ପ୍ରମାଣିତାବଳୀ	20,094.10	ସାରାଶରିଳ	19,894.10			
9	ସ୍ରୋତିଳିଳ ପ୍ରମାଣିତାବଳୀ	14,904.20	ପ୍ରମାଣିତରେକ୍ଷନ	4,904.20			
10	ପ୍ରାର୍ଥ ପ୍ରମାଣିତରେକ୍ଷନ	2,272.71			2,272.71	ଫାର୍ମଲ୍ୟୁଡ୍ୟୁ	
11	ଶିଳ୍ପ ତାଲିମିତାବଳୀ	20,778.50	ସାରାଶରିଳ	20,578.50	200.00	ସାରାଶରିଳ	
12	ସ୍ରୋତିଳିଳ ପ୍ରମାଣିତାବଳୀ	11.00				ଅନୁଶୀଳିତିକାରିତା	
13	ପ୍ରାର୍ଥ ତାଲିମିତାବଳୀ	9,547.12	ସାରଗ୍ରହିତର	4,547.12			
14	ପ୍ରାର୍ଥ ପ୍ରମାଣିତରେକ୍ଷନ	3,310.97	ପ୍ରମାଣିତରେକ୍ଷନ		3,310.97		

ნახ.5. ინკიდენტების აღრიცხვის შედეგის დაალოგური ფორმის ფრაგმენტი

პრაქტიკიდან გამომდინარე, მოულოდნელი დანაკარგი გაიანგარიშება მოწერე-კარლოს მოდელირების მეთოდით. იგი ავტომატიზებული მათემატიკური მეთოდია, რომელიც განკუთვნილია რისკის შესასწავლად რაოდენობრივი ანალიზის და გადაწყვეტილების მისაღებად. აღნიშნული მეთოდის ფარგლებში რისკის ანალიზი სრულდება შესაძლო შედეგების მოდელირებით. ასეთი მოდელის შექმნით, ნებისმიერი ფაქტორი, რომლისთვისაც დამახასიათებელია გაურკვევლობა, მნიშვნელობის დიაპაზონის ცვალებადობა განისაზღვრება ალბათობით. ამის შემდეგ სრულდება შედეგების მრავალმნიშვნელოვანი გათვლები, რისთვისაც ყოველ ჯერზე გამოიყენება ალბათობის ფუნქციის სხვადასხვა შემთხვევით მნიშვნელობები. ზოგჯერ მოდელირების დასრულებისთვის საჭიროა დიდი რაოდენობის გათვლების გაკუთხა, რაც დამოკიდებულია გაურკვევლობა /განუსაზღვრელობებზე და მისთვის აღებულ დიაპაზონზე. მოწერე-კარლოს მეთოდით მოდელირება საშუალებას გვაძლევს მივიღოთ განსაზღვრული მნიშვნელობა მოსალოდნელი შედეგებიდან.

ალბათობის განაწილების გამოყენებისას ცვლადებს შეიძლება ჰქინდეს სხვადასხვა შესაძლო მნიშვნელობა სხვადასხვა შედეგის მიხდეთ. ალბათობის განაწილება უფრო რეალური მეთოდია განაწილებული ცვლადების აღწერისას რისკის ანალიზის პროცესში. ალბათობის განაწილების ყველაზე გავრცელებული მეთოდებია: ნორმალური განაწილება (გაუსის მრუდი), ნორმალურ-ლოგარითმული განაწილება, თანაბარი განაწილება, სამკუთხა განაწილება, PERT განაწილება, დისკრეტული განაწილება.

მოწერე-კარლოს მეთოდით მოდელირებისას მნიშვნელობა იჩევა შემთხვევითობის პრინციპით შემავალი ალბათობის განაწილებით. თითოეული მნიშვნელობების არჩევიდან მიღებული შედეგი ფიქსირდება. მოდელირების პროცესში ასეთი პროცედურა ხორციელდება ათასჯერ და უფრო მეტჯერ და შედეგად კლინდება ალბათობის განაწილების შესაძლო შედეგები. ამდენად, მოწერე-კარლოს მეთოდი გგაძლევს უფრო მეტად სრულ წარმოდგენას მოსალოდნელ მოვლენებთან დაკავშირებით. იგი, საშუალებას გვაძლევს ვისტკელოთ არა მარტო იმაზე, თუ რა შეიძლება მოხდეს, არამედ, იმაზეც, როგორია ასეთი შედეგის ალბათობა [4].

აღწერილი მეთოდების გამოყენება ვარგისია და სრულყოფილ შედეგებს იძლევა მხოლოდ ხარისხიანი მონაცემებით. შესაბამისად, აუცილებელია დანაკარგების სწორი და სრულყოფილი აღრიცხვა და მონიტორინგი. მონიტორინგის მიზანია არ დაუშვას ოპერაციული რისკების მატების დონე, რადგან რეგულარული მონიტორინგი ხელს უწყობს ყველა სარისკო ქმედებაზე თვალყურის დენას და მისი ცვლილების დროულად გამოვლენას. მონიტორინგი უნდა ტარდებოდეს საკმაოდ ხშირად, რაც ხელს შეუწყობს რისკის ოპერატორულად გამოვლენას და აღმოფხვრას, მონიტორინგისთვის კი ძირითადად გამოიყენება სტატისტიკური მაჩვენებლები.

3. დასკვნა

რეალიზებული სისტემის ერთ-ერთი მთავარი ბირთვია ინციდენტების აღრიცხვა, მისი მონიტორინგი და შედეგების პრაქტიკული გამოყენება. მონიტორინგი საოპერაციო რისკის მართვის პასიური ეტაპია, იგი უკვე წარმოქმნილ რისკს განიხილავს, შეისწავლის ყველა ცვლილებას და შემდეგ იწყება რისკის შეცირებაზე მუშაობა. ამისთვის კი ხდება კონტროლის გამაცრება, მუდმივი კონტროლი როგორც თანამშრომლებზე, ისე პროცესებზე და პროცედურებზე, ლიმიტების განსაზღვრა, ინფორმაციაზე წვდომის კონტროლი, სისტემური ან ბიზნეს-პროცესების შეცდომების შესწავლა და მათი აღმოფხვრა სამომავლოდ.

ოპერაციული რისკის კონტროლი და მინიმზაცია თვალისწინებს აქტიური ღონისძიებების გატარებას რისკ-ფაქტორის მიმართ. ოპერაციული რისკების მინიმზაცია ხორციელდება მისი აღმოცენების ალბათობის დაქვეითებით, პოტენციური დანაკარგების შემცირებით, ან ორივე ერთად.

ლიტერატურა:

1. Basel, Operational Risk - Supervisory Guidelines for the Advanced Measurement Approaches - final document. (2014). <http://www.bis.org/publ/bcbs196.htm>
2. Сазыкин Б.В. (2008). Управление операционным риском в коммерческом банке, Москва, http://www.cfin.ru/finanalysis/banks/oper_risk_eval.shtml
3. Brandimarte P. (2014). Handbook in Monte Carlo Simulation: Applications in Financial Engineering, Risk Management, and Economics, Wiley.
4. Glasserman P. (2003). Monte-Carlo Methods in Financial Engineering. Springer. New York.

**IMPROVEMENTS OF ANALYTICAL AUTOMATED TOOLS FOR ANALYSIS
OF CORRELATED RISK PROCESSES**

Turkia Ekaterine, Morozi Nato
Georgian Technical University

Summary

The paper presents research of existing in the organization different risk type correlation accounting and monitoring processes. Out of main risk types special attention is paid to operational risk. By studying this risk different dependent risk subtypes are identified. The functional model of risk analysis system is described, which introduces new automated tools to measure and monitor correlated risks. The result of incident and correlated risk measurement provides data source for risk realization forecast, which makes possible to use forecasting methods. Usually, this type of analysis in operational risk management models losses using Monte-Carlo method, empirical distribution, Poisson, Weibull, Gamma, negative binomial, and other distributions. This approach makes possible to minimize unexpected events and provides high efficiency in decision making under uncertainty.

**ОБРАБОТКА АНАЛИТИЧЕСКИХ АВТОМАТИЗИРОВАННЫХ ИНСТРУМЕНТОВ
ДЛЯ АНАЛИЗА ПРОЦЕССОВ КОРРЕЛЯЦИОННЫХ РИСКОВ**

Туркия Е., Морози Н.
Грузинский Технический Университет

Резюме

Рассматриваются вопросы исследования процессов мониторинга и учета взаимо-корреляции разных типов рисков, существующих в организации. Акцент сделан на операционный риск, на основании исследования которого выявляются типы разных зависимых рисков. Описана функциональная модель системы анализа рисков, по которой предложены реализованные механизмы автоматизации мониторинга и учета взаимо-корреляционных рисков и инцидентов. Полученные результаты формируют источник данных для анализа рисков, на основе которого возможно использовать методы прогнозирования. Для такого типа анализа, как правило, в операционных рисках применяются моделирование по методу Монте-Карло, распределение Пуассона, эмпирическое распределение, распределение Вейбулла, гамма распределение, негативное биноминальное распределение и т.п. Подобный подход делает возможным уменьшение эффекта неожиданности и обеспечивает высокую эффективность принятия решений при неопределенных условиях.